

## ჯემალ ხუბუას CV

მე, ჯემალ ივანეს-ძე ხუბუა დავიბადე 1939 წლის 14 ივნისს ქ. თბილისში. ვარ საქართველოსმოქალაქე. მყავს მეუღლე ნუნუ ჭუაძე, ქალიშვილი მაია ხუბუა და შვილიშვილი გიორგი სალუქვაძე.

ისინი ცხოვრობენ ჩემთან ერთად მისამართზე: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N 27<sup>ა</sup>, ბინა 5. ვარ თბილისის სახ. უნივერსიტეტის, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის, მისამართი უნივერსიტეტის ქ. N 9, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. ჩემი ტელეფონებია, ბინის: 239-45-46, სამსახურის: 218-89-07, მობ.ტ. 591-61-99-41. ელექტრ. ფოსტის მისამართია: [Jemal.khubua@cern.ch](mailto:Jemal.khubua@cern.ch)

1957 წელს დავამთავრე თბილისის მე-7 საშუალო სკოლა (ბოლო წლებში გადაკეთდა 53-ე საშუალო სკოლად), ვერცხლის მედლით. იმავე წელს ჩავაბარე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1962 წელს ბირთვული ფიზიკის მიმართულებით. იმავე წელს დავიწყე მუშაობა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრაზე. 1974 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „5 გეევ/ც იმპულსის  $\pi$ -მეზონების ნახშირბადის ბირთვებთან კოჰერენტული ურთიერთქმედების შესწავლა“. 1974 წლიდან 1995 წწ გავიარე სხვადასხვა საფეხურები უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე. ამავე პერიოდში ვეწეოდი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ს მაღალი ენერგიების ინსტიტუტსა და ფიზიკის ფაკულტეტზე. მოცემული პერიოდი დასრულდა 1995 წელს - სადოქტორო დისერტაციის მომზადებით და დაცვით, ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე, თემაზე: „პიონების დაბადებისა და კორელაციების ექსპერიმენტული კვლევა  $\pi$ -C და  $\pi$ -N ურთიერთქმედებებში და  $K_{e3}$  დაშლების ფორმ-ფაქტორების განსაზღვრა“.

1994 წლიდან დღემდე მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. ვარ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1996 წლიდან თსუ-ს პროფესორი.

ჩემი სამეცნიერო, სამუშაო გამოცდილება მთლიანად დაკავშირებულია მაღალი ენერგიების (მიკრო სამყაროს) ფიზიკასთან. ჩემი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე კვლევითი სამუშაოები დაკავშირებულ იყო ბუმტოვანი კამერების მეთოდისკასთან, რომელთა საშუალებითაც შეისწავლებოდა ბირთვული ურთიერთქმედებები. მნიშვნელოვან ინტერესს იწვევდა ბირთვებზე ნაწილაკებისა და რეზონანსების დაბადების პროცესები და ბირთვებთან და ნუკლონებთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი იგივეური ნაწილაკების წყვილური კორელაციები.

ექსპერიმენტების მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო K-მეზონების დაშლის კვლევასთან, ამ პროცესების შესწავლის ძირითადი მიზნები იყო: CP-ინვარიანტობის დარღვევის, იშვიათი დაშლების და იმ ეფექტების ძებნა, რომლებიც ვერ აღიწერებოდნენ ელექტროსუსტი ურთიერთქმედების სტანდარტული მოდელით. აღნიშნული პროცესები შეისწავლებოდა ქ.სერპუხოვის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დანადგარ „ჰიპერონზე“.

1994 წლიდან დღევანდლამდე ჩემი შემდგომი საქმიანობა მთლიანად დაკავშირებული იყო ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში - CERN-ი (ქ. ჟენევა, შვეიცარია), დაგეგმილ ექსპერიმენტ ATLAS-თან. ჩემი ხელმძღვანელობით შექმნილ იქნა დანადგარის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის ადრონული ტაილ კალორიმეტრის ცენტრალური ნაწილი. მის მიმართ იყო მკაცრი მოთხოვნები, როგორც მექანიკური აწყობის ასევე გარჩევის უნარიანობის მიმართ. 2009 წელს დანადგარი შევიდა მწყობრში, მუშაობს გამართულად დღევანდლამდე და მცირე მოდიფიკაციებით გააგრძელებს მუშაობას უახლოესი 30 წლის განმავლობაში (გეგმის მიხედვით). მოცემულ დანადგარზე, ჩემი მონაწილეობით შესრულდა გახმაურებული ნაშრომი „Observation of a new particle in the search for the Standard Model Higgs boson with the ATLAS detector at the LHC“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ Phys.Lett. B716(2012), 1-29.

ვარ საკმარისად მაღალი კვალიფიკაციის ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, 50 წელზე მეტი სამეცნიერო სტაჟით. ჩემი სამუშაო გამოცდილება დაკავშირებულია მრავალ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობასთან. ჩემს სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს ფიზიკური ექსპერიმენტები, დანადგარების შექმნა და ექსპერიმენტალური მონაცემების მიღება და ანალიზი.

მიღებული მაქვს მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში (ჟენევა, დუბნა, ათენი, რომი და სხვა). ვარ საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების ციკლის (2001-2014), „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

მაქვს 20 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟი, ვკითხულობ ლექციებს თსუ-სა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში. მიღებული მაქვს მონაწილეობა 5-ზე მეტ საერთაშორისო გრანტში. ვარ მაღალი ენერგიების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი 2012 წლიდან.

ფლობ ინგლისურ და რუსულ ენებს თავისუფლად.

ჩემს მიერ პოპულარულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა აღემატება 850-ს. ბოლო წლების სამეცნიერო შრომის სია თან ერთვის მოცემულ დოკუმენტს.